პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

7

ივნისი

ოთხშაბათი,
1961 წ.
№ 75 (1771)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბელგრადის რინგზე

ოთხი დღეა, რაც ბელგრადში მიმდინარეობს ევროპის პირველობის გათამაშება კრივში. შეჯიბრებაში სრული გუნდებით გამოდიან მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნები — ინგლისი, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია. ყველაზე მცირერიცხოვანი დელეგაციები წარმოადგინეს საბერძნეთმა და ნორვეგიამ. ისინი ევროპის ჩემპიონატში მხოლოდ თითო მოკრივით მონაწილეობდნენ.

სულ გათამაშებაში გამოდის 146 მოკრივე. მათ შორის: უმჩატეს წონაში — 14, მჩატეში — 16, ქვემსუბუქში — 14, მსუბუქში — 16, პირველ ქვესაშუალოში 17, მეორე ქვესაშუალოში — 17, პირველ საშუალოში — 15, მეორე საშუალოში — 12, ქვემძიმეში —14, მძიმეში — 11.

თავდაპირველად მოეწყო წინასწარი შეხვედრები, ე. წ. მერვედფინალები, რომლებსაც უნდა გამოევლინა ჩემპიონატის მომდევნო ეტაპის—მეოთხედფინალების მონაწილენი. უმჩატეს წონაში საბჭოთა გუნდის წევრი სტოლნიკოვი შეხვედა ახალგაზრდა ინგლისელ მოკრივეს რადკინს, რომლის ოსტატობას სპეციალისტები სახელგანთქმული ტერი სპინკსის მაღალ ტექნიკას ადარებენ. საინტერესო ბრძოლა მოიგო ქულებით საბჭოთა სპორტსმენმა.

ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი მჩატე წონაში. აქ არიან რომის ოლიმპიადის პრიზიორი სივკო (სსრკ) და ცნობილი იტალიელი ძამპარინი, ფიზიკურად ძლიერი უნგრელი ტერეკი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი რაშერი. სივკო პირველ ტურში შეხვდა ბულგარელ მიცევს, გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა მოკრივემ.

ქვემსუბუქ წონაში უმთავრესად ახალგაზრდა სპორტსმენები გამოდიან, ამიტომ აქ ტიტულებიან ფავორიტებს ვერ შეხვდებით. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ზასუხინი პირველ წრეში ისვენებდა. იგი ბრძოლას პირდაპირ მეოთხედფინალიდან დაიწყებს. მსუბუქ წონაში საბჭოთა მოკრივის კაკოშკინის მეტოქე იყო პოლონელი შეპანსკი. გამარჯვებას ქულებით მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა.

პირველ ქვესაშუალო წონაში წლების მანძილზე უძლიერესი იყო საბჭოთა მოკრივე ვ. ენგიბარიანი, რომელმაც ერთხელ მოიპოვა ოლიმპიური და სამჯერ ევროპის ჩემპიონის წოდება. რომში ენგიბარიანმა მიიღო ტრავმა და იძულებული გახდა დაენებებინა თავი სპორტული გამოსვლებისათვის. ამ წონით კატეგორიაში საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავს ტუმინში, რომელმაც მერვედფინალში დამარცხა იტალიელი პიაცო.

მეორე ქვესაშუალო წონას გამოაკლდა ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იტალიელი ბენვენუტი. იგი პროფესიონალებში გადავიდა. ამ წონით კატეგორიაში სხვებზე უკეთესი შანსები აქვს ტამულისს, რომელმაც პირველ წრეში ქულებით დაამარცხა პოლონელი კნუტი.

ძნელი ბრძოლა ჰქონდა პირველ საშუალო წონაში საბჭოთა მოკრივეს ლაგუტინს. მისი მოწინააღმდეგე იყო იუგოსლაველი ტომიჩი, რომელსაც მაყურებლები მხურვალედ უჭერდნენ მხარს. საბჭოთა სპორტსმენმა გამოავლინა უჩვეულო შეუპოვრობა და მოიპოვა დამსახურებული გამარჯვება.

მეორე საშუალო წონაში აღარ გამოდიან წარსულში ცნობილი ოსტატები საბჭოთა და პოლონელი მოკრივეები შატკოვი და პეტშიკოვსკი. ამ წონით კატეგორიაში ფავორიტად თვლიან ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელს ვალასეკს (პოლონეთი). საბჭოთა გუნდის წევრი ფეოფანოვი პირველ წრეში ისვენებდა. მეოთხედფინალში იგი უნდა შეხვდეს რუმინელ მონიას.

ქვემძიმე წონაში საბჭოთა გუნდის წევრმა პოზნიაკმა დაამარცხა ავსტრიის წარმომადგენელი შინდლერი. მეოთხედფინალში ჩაატარებს თავის პირველ შეხვედრას საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი მძიმე წონაში აბრამოვი. მისი მოწინააღმდეგე იქნება უნგრელი საბო.

მასებს—



ლია, ყველა ასე რომ მუშაობდეს, ორჯერ და სამჯერ მეტი იქნებოდა ჩვენი დოსაააფის წარმატებები. მაგრამ გადავხედოთ, მაგალითად, სამტრედიის, ტყიბულის, თიანეთის, ხობის, ცაგერის, ქარელისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია: ამ რაიონებში მოსახლეობის 3,5 პროცენტი ითვისებს სპორტის ტექნიკური სახეობებს. გასულ წელს რესპუბლიკის 20 რაიონში არ მომზადებულა არც ერთი ტრაქტორისტი მძღოლი, რადისტი და სხვ. დიდი ორგანიზაციები (მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, ქუთაისის ავტოქარხანა, მცხეთის საბჭოთა მეურნეობა „მევენახე") ვერ იყენებენ თავიანთ დიდ შესაძლებლობებს ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში.

სპორტის ტექნიკური სახეობანი

დიდი პატრიოტული ომცანებია დასახული არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ორგანიზაციის — დოსაააფის წინაშე. მას ფართო ქსელი აქვს რესპუბლიკაში და ფრიად ნაყოფიერადაც მუშაობს. სულ ახლახანს ჩვენ მივიღეთ ცნობა და დავბეჭდეთ კიდეც, რომ ჩვენი რესპუბლიკის დოსაააფის ორგანიზაცია და მისი აქტივისტთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა მრავალი წლის განმავლობაში ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი მუშაობისათვის.

მარტო გასულ წელს რესპუბლიკის დოსაააფის ხაზით ჩატარდა 6.611 ღონისძიება. ეს არც თუ ცუდი მაჩვენებელია. სწორედ ამის შედეგია, რომ განუწყვეტლად იზრდება თანრიგოსანთა რიცხვი. მარტო სროლაში მომზადდა მრავალი თანრიგოსანი და ოსტატი, გაუმჯობესდა რეკორდები. დოსაააფელთა განკარგულებაშია მრავალი სპორტული ნაგებობა — 14 ტირი, სპარაშუტო კოშკები, საცურაო აუზები, სამაშველო სადგურები და სხვ. ამ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში შემოზიდულია 8 მილიონი სხვადასხვა მეტად საჭირო ინვენტარი. ჩვენი მოტოციკლისტები, ავტომობილისტები, მსროლელები წარმატებას აღწევენ საკავშირო სარბიელზე. სულ ახლახან პარაშუტისტებმა გაუმჯობესეს რესპუბლიკური რეკორდები.

მოწინავეთა რიგებში არიან აფხაზეთის, ქუთაისის, გორის, მცხეთის, თელავის და სხვა ორგანიზაციები. აქ შემოკრებილი ჰყავთ აქტივი, მათი დახმარებით მზადდება თანრიგოსნები და სპორტის ტექნიკური სახეობები ფართოდ ინერგება მოსახლეობაში. რასაკვირველია, ყველა ასე რომ მუშაობდეს, ორჯერ და სამჯერ მეტი იქნებოდა ჩვენი დოსაააფის წარმატებები. მაგრამ გადავხედოთ, მაგალითად, სამტრედიის, ტყიბულის, თიანეთის, ხობის, ცაგერის, ქარელისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია: ამ რაიონებში მოსახლეობის 3,5 პროცენტი ითვისებს სპორტის ტექნიკურ სახეობებს. გასულ წელს რესპუბლიკის 20 რაიონში არ მომზადებულა არც ერთი ტრაქტორისტი მძღოლი, რადისტი და სხვ. დიდი ორგანიზაციები (მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, ქუთაისის ავტოქარხანა, მცხეთის საბჭოთა მეურნეობა „მევენახე") ვერ იყენებენ თავიანთ დიდ შესაძლებლობებს ტექნიკური კადრების მომზადების საქმეში.

ტექნიკურ სახეობათა შემდგომი განვითარების მიზნით წელს ტარდება საკავშირო სპარტაკიადა, ეს მეტად დიდი და საინტერესო ღონისძიება გასულ წელს დაიწყო და მიმდინარე წლის ზაფხულში დამთავრდება. ახლა რესპუბლიკაში მიმდინარეობს სპარტაკიადის გადამწყვეტი ეტაპი. ამიტომ, ამ საპასუხისმგებლო მომენტში, ჩვენ გვინდა რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულ სპორტკავშირებს შევახსენოთ შემდეგი:

დოსაააფი ეს ისეთი ორგანიზაციაა, რომელთანაც ყოველთვის მჭიდრო კავშირი უნდა გვქონდეს. მისი არსებობა მაშინ კი არ უნდა გაგვახსენდეს, როცა რაიმე შეჯიბრება მოახლოვდება და მსროლელები და მოტოციკლისტები დაგვჭირდება, არამედ ყოველთვის. ზოგიერთი სპორტკავშირის თავმჯდომარე თავს იმით იმართლებს, რომ მას არ უგეგმავენ ტექნიკურ სახეობებს და ამიტომ განზე დგას — დოსაააფის საქმე დოსაააფმა გააკეთოს, ჩვენ ჩვენი თავსატეხიც გვიყოფია. ასეთი „ჩაურევლობის" პოლიტიკას კარგი ბოლო არ ექნება. რაიონსა თუ ქალაქში მომხდარი სპორტული მოვლენების მიღმა სპორტკავშირი ვერ დარჩება. იგი ხომ მოცემულ უბანზე, საერთოდ, ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე პასუხისმგებელია. ამიტომ, როდესაც რაიონში ტექნიკურ სახეობაში სპარტაკიადა ტარდება, სპორტკავშირი იქ უნდა იყოს, ეხმარებოდეს მის ორგანიზატორებს ყოველმხრივ — მწვრთნელებით, ბაზებით, ინვენტარით, აქტივით. ჩვენ ორივე ერთიდაიმავე საქმეს ვემსახურებით, ამიტომ ერთმანეთის კარგად უნდა გვესმოდეს და ღღენიადაგ ხელიხელჩაკიდებული უნდა ვმუშაობდეთ.

ახლა დოსაააფის ორგანიზაციების მთავარი საზრუნავი სპარტაკიადაა. ჩვენმა პარაშუტისტებმა, მოტოციკლისტებმა, ავიამოდელისტებმა, ავტომობილისტებმა საკავშირო სარბიელზე უნდა დაიცვან რესპუბლიკის სპორტის ღირსება. ამიტომ ყველა უნდა დავეხმაროთ დოსაააფს, რათა მან სანიმუშოდ მოამზადოს გუნდები, რომლებიც თამამად იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისათვის, რომ სპარტაკიადამ გამოიწვიოს საერთო აღმავლობა, რომ ტექნიკური სახეობები მასობრივად დაინერგოს მოსახლეობაში. ამას მოითხოვს სოციალისტური სამშობლოს ინტერესები.

პირველ და მეორე ჯგუფებში

ტულის ტრეკზე დამთავრდა ექვსი ქალაქის მატჩი ველოსრბოლაში I ჯგუფის გუნდების მონაწილეობით, პირველობისათვის იბრძოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ტულის, რიგის და სხვა ქალაქების უძლიერესი სპორტსმენები.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა სპრინტერული რბოლა ერთ კილომეტრზე. ვაეთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა სპორტის ოსტატმა, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა მოსკოველმა რ. ვარგაშკინმა. ქალთა შორის სხვებზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა ახალგაზრდა ტულელი ველოსიპედისტი ვ. სავინა. მას წილად ხვდა პირველი ადგილი.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა ტულის ველოსიპედისტთა კოლექტივმა.

ნოგინსკის ტრეკზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეორე ჯგუფის გუნდები — ხარკოვის, თბილისის, ერევნის, მოსკოვის ოლქისა და ოდესის კოლექტივები. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ხარკოვის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ თბილისის, მესამეზე ერევნის გუნდები.

სპრინტში ვაეთა შორის გაიმარჯვა თბილისელმა იუხნევიჩმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის გამარჯვებით დამთავრდა სალიდერო რბოლაც. იგი მოიგო პროკოპენკომ (ლიდერი კავსაძე).

საქართველოს სპორტული წარმატებანი განუყრელადაა დაკავშირებული „დინამოს“ სახელთან. ამ საზოგადოების ფეხბურთელებს, კალათბურთელებს, წყალბურთელებს, ხუთჟიდელებს, მძლეოსნებსა და სხვა სახეობათა წარმომადგენლებს არაერთხელ ბრწყინვალედ დაუცავთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე.

რეზერვებზე საჭიროა ზრუნვა

რესპუბლიკის უძლიერეს მესტენდურეთა შეჯიბრების პარალელურად თბილისს „მონკავშირის“ სტენდზე გაიმართა ჭაბუკთა და ქალთა პირადი პირველობა, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა შორის ჩატარებული მუშაობისა და ოსტატთა მომავალი ცვლის ძალთა შემოწმებას.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ერთ, ისე მეორე უბანზე მდგომარეობა კვლავ არასახარბიელოა, ამჯერადაც ქალთა შორის ცეცხლის ხაზზე კვლავ ძველი ნაცნობები, სპორტის ოსტატი ე. მელიქიშვილი და პირველთანრიგოსანი ს. ციცქიშვილი დადგნენ. მათ ყოველგვარი ნერვიულობისა და დაძაბულობის გარეშეც განაღდებული ჰქონდათ პირველი და მეორე ადგილები. რაც შეეხება ჭაბუკებს, მათი რაოდენობაც ერთობ მოკრძალებულ ციფრს — 8 არ გაცილებია.

პირველ დღეს გაიმართა ბრძოლა მრგვალ სტენდზე გამარჯვებისათვის. ჭაბუკთა შორის დამაკმაყოფილებლად ისროდნენ პირველთანრიგოსნები თ. ჟღენტი და ვ. კონდრაცკი. ცუდი ამინდის მიუხედავად, პირველ სერიაში მათ შესაბამისად დააზიანეს 18 და 20 სამიზნე. მეორე სერიიდან კონდრაცკი კიდევ უფრო დაწინაურდა. საბოლოოდ მან 100-დან 82 სამიზნე გატეხა (II თანრიგის შედეგი) და პირველი ადგილი დაიკავა. 72 სამიზნით მეორე ადგილზე გამოვიდა თ. ჟღენტი, მესამეზეა კ. მერაბიშვილი — 61.

ქალთა შორის გაიმარჯვა ს. ციცქიშვილმა, რომელმაც 65 სამიზნე დაამსხვრია და 8 ქულით აჯობა სპორტის ოსტატ ე. მელიქიშვილს.

მეორე დღეს ადგილიდან სროლაში მონაწილეებმა მხოლოდ სამი სერია მიიღეს. ცუდი ამინდის გამო შეჯიბრება არ დამთავრებულა, მაგრამ ჩატარებული სროლაც ცხადყოფს ჭაბუკთა შორის თ. ჟღენტისა და ქალთა შორის ე. მელიქიშვილის უპირატესობას. ჟღენტმა 75-დან 48 ქულა მოაგროვა და კონდრაცკის სჯობდა 7 ქულით, ხოლო მელიქიშვილმა 11 ქულით ჩამოიტოვა ს. ციცქიშვილი, რომელმაც მხოლოდ 27 ქულა დააგროვა.

ერთი სიტყვით, შედეგები ცხადყოფენ, რომ რეზერვის მომზადების დონე დაბალია და მდგომარეობის გამოსწორება გადამჭრელ ღონისძიებებს საჭიროებს.

ო. ივდოშვილი

მძლეოსნურ სექტორებზე

ქუთაისში დამთავრდა საქალაქო სასკოლო შეჯიბრება (სპარტაკიადის პროგრამით) მძლეოსნობაში. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაიმართა პირველ ჯგუფში მოხვეჯამეს მუშაობა

II სპარტაკიადაზე საქართველოს დელეგაციის 30,1 პროცენტს დინამოელები შეადგენდნენ, ხოლო რომის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს „დინამოს“ 6 სპორტსმენიდან ყველამ მოიპოვა საპრიზო ადგილი, მათ შორის ერთმა (რ. შავლაყაძე) ოქროს, ოთხმა (გ. მირაშვილი, ვ. უგრეხელიძე, გ. ჩიქვანაია და ლ. გოგოლაძე) — ვერცხლის მედალი და ერთმა (ა. შჩერბინამ) მეოთხე ადგილი.

დინამოელთა მიერ მოპოვებულ ყველა წარმატებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, უფრო მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ მიაღწიეს ამას და რა ნაკლოვანებებით ხასიათდება საზოგადოების საქმიანობა, გავაცნოთ მკითხველს ის, რაზეც ილაპარაკა „დინამოს“ III კონფერენციაზე რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა **ი. ღარიბაშვილმა.**

„დინამოს“ სპორტულ კოლექტივში დიდი ყურადღება ეთმობა მასობრიობას, ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებას, ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებას. წინა კონფერენციის შემდგომ განვლილი ორი წლის განმავლობაში გადაჭარბებით სრულდება სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმები. მაგალითად, გასულ წელს საზოგადოებაში 21-ის ნაცვლად 23 ოსტატი მომზადდა. განმტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივები: 200 მცირერიცხოვანი კოლექტივის ნაცვლად შეიქმნა 120 შრომისუნარიანი ორგანიზაცია.

ბევრი აქვთ დინამოელებს სასიქადულო, მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. მაგალითად, „დინამო“ ჩამორჩა I თანრიგოსნების მომზადებაში. 1959 წელს აქ 206 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 136, გასულ წელს კი 220-ის ნაცვლად 147.

ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოების ზოგიერთი საბჭო და კოლექტივი ნაკლებად იწუხებს თავს. აჭარის საბჭოს უნდა მოემზადებინა სულ ერთი პირველთანრიგოსანი კრივში, 4 — წყალბურთში. 3 — ცურვაში, 2 — წყალში ხტომაში, თითო ტყვიით სროლასა და ძალოსნობაში, მაგრამ აქ ჯერ არაფერი გაკეთებულა.

ამ მხრივ ჩამორჩა თბილისის პირველი კოლექტივიც, რომელსაც გააჩნია ნაყოფიერი მუშაობის ყველა პირობა—პერსპექტიული ახალგაზრდები, მწვრთნელები, ბაზები და ინვენტარი, მაგრამ პირველთანრიგოსანთა მომზადების გეგმა შარშან მხოლოდ 31 პროცენტით გაანაღდეს. განსაკუთრებით ჩამორჩა მძლეოსნობის სექცია, რომელმაც 20-ის ნაცვლად 1 პირველთანრიგოსანი მომზადა. ასევე შეუსრულებელი დარჩა გეგმები ტანვარჯიშში, ცურვაში, ძალოსნობაში, ჭოგბურთში, ფარიკაობასა და ფეხბურთში.

უკანასკნელ წლებში იკარგება ქუთაისის დინამოელთა კარგი ტრადიციები. საბჭოს საქმისადმი ცუდი ხელმძღვანელობის გამო ვერ შეასრულეს გეგმები კრივში, ჭიდაობა სამბოში, მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება აფხაზეთის „დინამოს“ საბჭოს საქმიანობაც. აქ ადგილი აქვს მნიშვნელოვან დარღვევებს გეგმების შესრულებაში, ხშირად ეწყობა შეჯიბრებანი კოლექტივებს შორის. მაგრამ მაინც ვერ მოაბა თავი ოფიციალურ პირველობაში ერთი ოსტატისა და ტანვარჯიშში, კრივსა და ძალოსნობაში პირველთანრიგოსანთა აღზრდას.

სუსტად მუშაობენ ფოთის, გორის, სამხრეთ ოსეთისა და სხვა კოლექტივები.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დელეგატებმა: სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ **გ. რატიანმა, გ. ურუშაძემ** (აჭარა), **ნ. მანჯგალაძემ** (VI კოლექტივი), **მ. თურქიამ** (აფხაზეთი), **გ. მგელაძემ** (IV გაერთიანებული კოლექტივი), ინჟინერმა **ა. სადომოლმა,** სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა **ნ. დუმბაძემ** და **ე. გოკიელმა, ა. ფინენკომ,** მწვრთნელმა კრივში **გ. ვართანოვმა,** „დინამოს“ ფაბრიკის დირექტორმა **გ. ვენგერმა,** დამსახურებულმა მწვრთნელმა **ლ. იოკიმიდიმ.**

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ა. კუპრიანოვი.**

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, აირჩია რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი.

მიმდინარეობს სპარტაკიადები

წილ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

შეჯიბრების პროცესში II თანრიგის მოთხოვნები შეასრულა ექვსმა მოსწავლემ, ხოლო III თანრიგისა — 52-მა. 300 მეტრზე რბენაში გოგონებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. შიშკოვა, რომელმაც მანძილი 42,8 წამში დაფარა.

საბოლოო შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მძლეოსანთა გუნდი, მომდევნო ადგილებზე არიან 23-ე სკოლისა და მე-13 სკოლის წარმომადგენლები.

მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს 21-ე საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

მესამე ჯგუფში მონაწილე გუნდებს შორის გუნდური პირველობა მოიპოვეს ქალაქის მე-2 სკოლა-ინტერნატის სპორტსმენებმა.

შ. ჩიმაკაძე

ხუთ სახეობაში

დამთავრდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ტექნიკუმების სამტრედიის ზონის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც იყო ხუთი სახეობა.

პირველ დღეს დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო და კულაშის ზოოვეტტექნიკუმის მსროლელები ერთმანეთს შეხვდნენ ჯიხაიშის ტექნიკუმის სასროლეთზე. ვერც ერთმა მონაწილემ ვერ შეძლო თანრიგის ჩვენება.

ამავე დღეს საღამოს ჯიხაიშის ტექნიკუმის კლუბში მოეწყო ქართული ჭიდაობა, სადაც პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავა მასპინძელთა კოლექტივმა.

მეორე დღეს კულაშის ტექნიკუმის სტადიონზე სტარტი მიეცა 100 მ გარბენს. შედეგით 11,8 გუნდს ჩათვლა მისცა რ. მამალაძემ (კულაშის ტექნიკუმი).

საჭადრაკო „ბრძოლა“ აღნიშნულ ორ ტექნიკუმს შორის დამთავრდა ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გამარჯვებით, ასევე გამარჯვებას მიაღწიეს ველოსიპედისტებმაც.

ამრიგად, პირველი ადგილი დაიკავა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივმა.

ჯ. ვაშაკიძე

სროლასა და ქართულ ჭიდაობაში

„კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ გორის საჭიდაო დარბაზში ჩაატარა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში მახარაძის, ჯიხაიშის, ცხაკაიას, დუშეთის, მარტყოფის, მცხეთის, მაჩხანის, გორის, წულუკიძის, გალის, ლაგოდეხისა და სხვა ტექნიკუმების მოჭიდავეთა 22 გუნდის მონაწილეობით.

თავიდანვე დაწინაურდნენ მცხეთის, გორის, ჯიხაიშისა და ცხაკაიას გუნდები, მაგრამ ეს თანაფარდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მცხეთელი მოჭიდავეები ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ და გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ, მეორე ადგილზეა ჯიხაიშის გუნდი.

წონით კატეგორიებში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: გ. დორეული (მცხეთა), ლ. ვეფხვაძე (დუშეთი), ო. მაშულაშვილი (გორი), რ. რომელაშვილი (დუშეთი), მ. ესებუა (ცხაკაია), კ. სპანდერაშვილი (ჯიხაიში), ლ. ჯაფარიძე (მარტყოფი), შ. გაურგაშვილი (მცხეთა).

გორის სასროლეთზე მიმდინარეობდა ტექნიკუმების გუნდების შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. პირველობამ ცხადყო, რომ რიგ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ სახეობას. მაგალითად, ლაგოდეხელმა ვ. კობიაშვილმა 300 შესაძლებლიდან მხოლოდ 11 ქულა დააგროვა, ხოლო მაჩხაანელმა კირილოვმა—57.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ გორელი მსროლელები. გორის წარმომადგენელმა ვ. შიუკაშვილმა პირველი ადგილი დაისაკუთრა პირად ჩათვლაში და შეასრულა II თანრიგის ნორმა.

ი. თევდორაშვილი

სურამელთა უპირატესობით

ამას წინათ დამთავრდა საქართველოს პროფტექგანათლების სკოლათა XIV ტრადიციული რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებანი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და სურამის „შრომითი რეზერვების“ ძირეული კოლექტივების ჭაბუკთა გუნდებმა, რომლებშიც 118 მონაწილე გამოდიოდა.

გუნდურ ჩათვლაში როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში პირველი ადგილები დაიკავეს სურამის № 1 პროფტექსასწავლებლის გუნდებმა, რომლებსაც წვრთნის გ. ბარბაქაძე.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: თავისუფალ ჭიდაობაში — ბ. გელაშვილმა, ვ. ჯიოშვილმა, ი. ბენდელიანმა, დ. მჭედლიშვილმა, ო. ჯამათაშვილმა, ბ. ფეიქრიშვილმა, რ. მჭედლიშვილმა და ვ. სიკტურაშვილმა, კლასიკურ ჭიდაობაში — უ. ბარბაქაძემ, დ. ჯანაშვილმა, ტ. მაკიევმა, კ. მეძმარიაშვილმა, გ. ჯაფარიძემ, ე. პატარიძემ, გ. გოგიჩაიშვილმა და კ. სევასტოვმა.

ი. რუხაია



შეასრულეს საათანრიგო ნორმები

ამას წინათ ჩატარდა აჭარის სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საოლქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც შედიოდა: მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ტყვიით სროლა, სიმძიმეების აწევა, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.

პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის გამარჯვებული გამოვიდა № 1 გაერთიანებული ფიზკულტურული კოლექტივი, ხოლო მეორე ჯგუფში გაიმარჯვა № 2 ფიზკულტურულმა კოლექტივმა.

ასპარეზობის მსვლელობაში მესამე თანრიგის ნორმატივები შეასრულა 29 სპორტსმენმა.

გ. თარგამაძე

სოხუმში ჩატარდა მოსწავლეთა სპარტაკიადა. სურათებზე თქვენ ხედავთ მარცხნივ — ტყვიით სროლაში გამარჯვებულებს - ვ. სტეფანოვს, ე. შალხასიანსა და ე. შეროზიას. მარჯვნივ — 400 და 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ვ. პეტროსიანი ფინიშთან.

ფოტოები ვ. სემიონოვისა

წყალბურთი

კვლავ გამარჯვება

როცა უძლიერეს წყალბურთელთა ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩი მოსკოვის „ბურევესტნიკსა“ და ლენინგრადის „ბალტიკას“ შორის დამთავრდა, მოსკოველთა მწვრთნელმა შვებით ამოისუნთქა.

— რაღაც ბედად გადავურჩით წაგებას, — აღმოხდა მას. ეს სიტყვები სიმართლეს მოკლებული რომ იყო. მოსკოვის „ბურევესტნიკი“ ძალზე ახლო იყო დამარცხებასთან. როცა ლენინგრადელებმა პირველი მატჩი მშრალი ანგარიშით (0:4) წააგეს თბილისის „დინამოსთან“, მოსკოველები ალბათ ფიქრობდნენ, რომ რიგით მეორე დამარცხებას მიაყენებდნენ „ბალტიკას“. მაგრამ ასე არ მოხდა. მოსკოველთა იერიშებს ლენინგრადელებმა საამედო დაცვა დაუპირისპირეს და სტუდენტთა უძლიერესი წყალბურთელი ვ. კურენნოი, რომელიც თავისი გუნდის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო, „შებოჭილი“ აღმოჩნდა.

მოსკოვის გუნდის ლიდერის ასეთმა მდგომარეობამ მეტი სამოქმედო ასპარეზი მისცა „ბალტიკას“ წყალბურთელებს. ისინი არ „დაიბნენ“ და ერთ-ერთი იერიში მეტოქის კარის აღებით დაგვირგვინეს. თუ კი სტუდენტებმა თამაში გამარჯვების დიდი რწმენით დაიწყეს, ახლა უკვე დამარცხებისაგან თავის დაღწევას ცდილობდნენ, მათ ეს მოახერხეს კიდეც. ვ. კურენნოიმ ზუსტად გამოიყენა 4-მეტრიანი საჯარიმო და ანგარიში გათანაბრდა — 1:1. მომდევნო პერიოდებში ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა, თუმცა გამარჯვებასთან უფრო ახლო ლენინგრადელები იყვნენ. ბურევესტნიკელები მთელი გუნდის შემადგენლობით „ბალტიკას“ კართან „ჩასაფრდნენ“, ვერ შეენიშნეს მოწინააღმდეგის ერთ-ერთი წყალბურთელი მათი კარის სიახლოეს. ეს ვერც ბალტიკელებმა დაინახეს, მოიგერიეს თუ არა მოსკოველთა იერიში, ბურთი ხელთ იგდეს და თავიანთი კარის სიახლოეს ერთმანეთთან გადაწოდებით გაერთნენ, ღიად დარჩენილი მათი თანაგუნდელი კი ამაოდ ელოდა პარტნიორებისგან ბურთს, ყვიროდა, ხელებით ანიშნებდა... მას ნამდვილად შეეძლო „ბალტიკასათვის“ გამარჯვება მოეტანა. სწორედ ამაზე სთქვა მწვრთნელმა — რაღაც ბედად გადავურჩით წაგებასო.

წინა მატჩთან შედარებით თბილისელებმა თავიანთი მორიგი თამაში ლენინგრადის „სპარტაკთან“ მეტად აგრესიულ სტილში ჩაატარეს.

ანგარიში გახსნა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. გვახარიამ, როცა მან ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი. მალე თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთით გაზარდეს ანგარიში, ეს იყო უჩვეულო გოლი. საერთოდ როცა კარს უტევს გ. ჩიქვანაია, მეტოქის გუნდების მცველები და მეკარეები „გამოუვალ“ მდგომარეობაში ვარდებიან, ხოლო მაყურებელი რაღაც სასიამოვნო სანახაობის მოლოდინშია. მსოფლიოში ამ უძლიერესი წყალბურთელის მძლავრი „ხელის“ ძალა ბევრჯერ განუცდიათ უცხოეთის ქვეყნების გუნდების მეკარეებს. რომის „სტადიო დელ ნუოტოში“, სადაც წყალბურთელთა ოლიმპიური ტურნირი ტარდებოდა, სსრ კავშირის ნაკრების მოწინააღმდეგე ყველა გუნდი ცდილობდა გ. ჩიქვანაიას მათ კარის სიახლოეს არ მიეღო ბურთი, როცა ოლიმპიური ვერცხლის მედლისათვის ჩვენი ქვეყნისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების მატჩის უკანასკნელი წუთები მიმდინარეობდა და ანგარიში 3:3 იყო, გ. ჩიქვანაიამ ძლიერი ტყორცნის ნაცვლად, რასაც მეტოქის მეკარე მოელოდა, ნელი და ტრიალა ბურთი კარში გაგზავნა. ბურთი უკუგდებულ იქნა. მასთან ერთდროულად მიიჭრნენ გ. ჩიქვანაია და მეკარე; ორივემ ბურთიანად გადაკვეთეს კარის ხაზი. მაშინ მსოფლიოს სპორტულმა პრესამ გ. ჩიქვანაიას ამ გადამწყვეტ ბურთს „ვერცხლის ბურთი“ უწოდა. მსგავსი რამ მოხდა „დინამოსა“ და „სპარტაკის“ მატჩის დროს, როცა გ. ჩიქვანაია, ლენინგრადელთა მეკარე და ბურთი ერთად ლენინგრადელთა კარში აღმოჩნდნენ. ამას მოჰყვა ნ. გვახარიას მიერ 4-მეტრიანი საჯარიმოდან გატანილი ბურთი, ი. ჩხიკვაძის ორი ზუსტი ტყორცნა და ვ. რომანოვის უკანასკნელი ბურთი ამ მატჩში. ლენინგრადელებმა მთელ თამაშში მხოლოდ ორჯერ შეძლეს დინამოელთა კარის აღება და მატჩი მოიგეს ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელებმა — 6:2.

გ. ხარებოვი,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი,

ზ. ჯანდიერი

* * *

გუშინ შედგა მორიგი მატჩები. თბილისის „დინამომ“ დაამარცხა „ტრუდი“ (რსფსრ) — 2:0, კიევის „ბურევესტნიკმა“ — ტალინის „დინამო“ — 6:0, ლენინგრადის „ბალტიკამ“ — მინსკის „ბურევესტნიკი“ — 7:2, მოსკოვის „ბურევესტნიკმა“ — ლენინგრადის „სპარტაკი“ — 4:1.

ალლუმი ...

ცარიელი ტრიბუნები

საქართველოს ჰიმნის დიდებული მელოდიის ქვეშ გასული წლის ჩემპიონმა ქალთა შორის რ. აბაკანდაძემ და თბილისის გუნდის კაპიტანმა ა. ვერულავამ აღმართეს საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშების ალამი ჩოგბურთში.

საზეიმოდ გაიხსნა თბილისის „დინამოს“ კორტებზე ეს შეჯიბრება, მაგრამ აღლუმზე მოწყობილ მონაწილეებს მდუმარედ შეჰყურებდნენ დაცარიელებული ტრიბუნები... ეს დიდი ღონისძიება არ ყოფილა აფიშირებული და მის შესახებ მხოლოდ შეჯიბრების ჩატარების ორგანიზატორებმა და შეჯიბრებაში უშუალოდ მონაწილე თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის გუნდებმა იცოდნენ.

ამ გარემოებას კიდევ უფრო ამუქებდა ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ კარგი სპორტული ტრადიციების მქონე ქუთაისელი ჩოგბურთელები და საქართველოს რამდენიმე წამყვანი სპორტსმენი, რაც ძირითადად სტუდენტთა საზაფხულო სესიებითაა გამოწვეული.

ჩოგბურთელთა შეჯიბრება აფხაზეთისა და აჭარის გუნდების შეხვედრით დაიწყო.

აჭარელი გოგონების ნ. ანტიპინასა და ნ. თავბერიძის გამარჯვება ერთეულთა შეხვედრებში კარგად განამტკიცეს მათმა თანაგუნდელმა ჰაბუკებმაც ნ. დადუნაშვილმა, ა. ჟორდანიამ, რომლებმაც შესაბამისად დაამარცხეს ე. ჩერნიახოვსკი და ბ. ბილეკიანი. ანგარიში გახდა 4:0 აჭარელთა სასარგებლოდ. მოზრდილ ჩოგბურთელთა შეხვედრებში სოხუმელმა ქალებმა ვ. სილანტიევამ და ნ. ზდანკევიჩმა ორი ქულა მოუტანეს თავიანთ გუნდს, მაგრამ აჭარელ სპორტსმენთა წინსვლის შეჩერება ამჯერად შეუძლებელი გახდა.. მათ სძლიეს საუკეთესო ტრადიციების მქონე აფხაზეთის გუნდი — 10:7.

თბილისის და რუსთავის გუნდების შეჯიბრება სანახაობითი თვალსაზრისით ყოველგვარ ინტერესს იყო მოკლებული. სპორტული მომზადების სხვაობა აქ იმდენად დიდი იყო, რომ მოედანზე თითქმის არ უოფილა თამაში. თბილისელებმა ერთეულთა შეხვედრებში ანგარიშით 10:0 დაამარცხეს რუსთაველი სპორტსმენები და აქედან 7 შეხვედრაში ყველა გეიმიც მშრალი ანგარიშით დამთავრდა.

შეჯიბრება გრძელდება.

გ. სამანიშვილი



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ივნისისათვის

II ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	10	7	1	2	22:9	15
ცსკა	10	6	2	2	24:16	14
„სპარტაკი“ მ.	9	5	3	1	19:8	13
„პატაკორი“ ტ.	9	5	2	2	18:17	12
„დინამო“ მ.	10	4	2	4	15:15	10
„სპარტაკი“ ერ.	10	2	5	3	16:18	9
„ზენიტი“ ლ.	10	3	3	4	14:19	9
„კაირატი“ ა-ტა	10	3	3	4	12:18	9
„მოლდოვა“ კიშ.	10	3	2	5	20:19	8
„ბელარუსი“ მნ.	10	2	1	7	10:18	5
„კალევი“ ტალ.	10	0	4	6	9:22	4

* * *

მოსკოვი. 6 ივნისი. აქ მოსკოვის „დინამომ“ დაამარცხა „ბელარუსი“ (მინსკი) — 4:1.

უკანასკნელ საათს!

მ. ღუდუშაურისა და ა. ქორიძის პირველი მამარჯვებები

ერთი დღის შეხვედრების შემდეგ იოკოჰამაში (იაპონია) განახლდა მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ამჯერად ბრძოლაში ჩაებნენ კლასიკური სტილის მოჭიდავეები.

რედაქციამ მიიღო ცნობები პირველ ოთხ წონიოს კატეგორიაში ჩვენი მოჭიდავეების გამოსვლის შედეგების შესახებ.

უმჩატეს წონაში საიადოვმა დაამარცხა ნეფი (გფრ), ხოლო მჩატე წონაში კარავაევმა უნგრელი ვარგა.

მ. ღუდუშაურმა, რომელიც გამოდის ქვემსუბუქ წონაში, ქულებით დაამარცხა ტატი (ჩეხოსლოვაკია). ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია მსუბუქ წონაში ა. ქორიძემ, რომელმაც პირველ წამებშივე ორივე ბეჭზე დასცა ინდონეზიელი ტალივონკსოსი.

საჭიროა მასობრიობა, მაგრამ შედეგები?!..

ასეთი მასობრივი შეჯიბრება კარგა ხანია არ გამართულა თბილისში. ფიზკულტურის კოლექტივების მძლეოსანთა საქალაქო პირველობაზე, რომელიც სამ ჯგუფად ტარდება, 400-ზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო 100 მეტრზე რბენა, ქალთა შორის სიგრძეზე ხტომა, ვაჟთა სიმაღლეზე ხტომა და სხვ.

1500 მეტრზე რბენაში მონაწილეობდა სულ 9 კაცი, 20 კმ სპორტულ სიარულში — 2, 5 კმ სიარულში — მხოლოდ ერთი, 10.000 მ რბენაში — 3, 110 მ მარჯრბენში — 5, 80 მ მარჯრბენში—7 და ა. შ. ეს ერთხელ კიდევ გვაფიქრებს, რომ როგორც ამ სალაბორატორიებში, ისე ჭოკით ხტომაში, ბურთს ტყორცნაში კვლავ არასაკმაოდ უურადღება ექცევა რეზერვებს, მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადებას. წინასწარ შეძლება ვთქვათ, რომ ყველაფერი ეს თავს იჩენს მიმდინარე წლის საბოლოო პირად-გუნდურ პირველობაზე, რომლის ჩატარება თბილისშია განზრახული.

მასობრიობაზე ლაპარაკის დროს ამ ფაქტის აღნიშვნა სასიამოვნოა მხოლოდ მაშინ, როცა თანრიგებიც მასობრივადაა ნაჩვენები. აქ კი მხოლოდ 25 პროცენტმა შეძლო ამ ნორმატივის შესრულება. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში, სადაც 36 მონაწილიდან 3-მა შეძლო სათანრიგო ნორმატივის ჩვენება. 400 მ რბენაში 15-დან — 2-მა, 10.000 მ რბენაში კი გამარჯვებული ი. ლაკრიშვილი (სკიფ-ი) უთანრიგოდ დარჩა. საყვედურის ღირსია ოლიმპიური პრიზიორი ა. შჩერბინა. ეტყობა, იგი უკანასკნელ ხანს რეგულარულად არ ვარჯიშობს: 20 კმ სპორტული სიარული მან II თანრიგის შედეგით დაამთავრა.

მიუხედავად ამ მთელი რიგი ეჭვსახარბიელო მონაცემებისა, შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი, რომელთა შორის განსაკუთრებული უურადღების ღირსია კ. გორძემაშვილის (მწვრთნელი ნ. ლობჟანიძე) მიერ პირველი ადგილის მოპოვება შუბის ტყორცნაში სპორტის ოსტატის ნორმის შესრულებით — 73 მ 73 სმ. მან ამ ბრძოლაში დაამარცხა ორი ოსტატი — ლ. შაგოვი და ხ. დაოვი. ნაჩვენები იქნა აგრეთვე 15 პირველი თანრიგის შედეგი.



ხურათებზე: თამაშის მომენტები თბილისის „დინამოსა“ და „ტრუდის“ (რსფსრ) მატჩიდან. ზემოთ (მარჯვნივ) — თბილისელთა კაპიტანი ნ. გვახარია უტევს მეტოქის კარს; მარცხნივ — ლ. გოგოლაძე იღებს ბურთს; ქვემოთ — შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 75 (1711)

4 გუნდის მონაწილეობით

ამ დღეებში ბორჯომის სტადიონზე ჩატარდა ზონალური ტურნირი მძლეოსნობაში. მონაწილეობა უნდა მიეღოთ ადგილენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბორჯომის, ახალციხის, ბოგდანოვკისა და ხაშურის რაიონების გუნდებს, მაგრამ შეჯიბრებაზე ჩამოვიდნენ მხოლოდ ბორჯომის, ხაშურის, ახალციხისა და ასპინძის სპორტსმენები.

100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ბორჯომელმა ე. მატინოვმა — 11,7 წამი. სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის უძლიერესნი იყვნენ ხაშურელები ნ. ტალახაძე — 140 სმ და დ. გრიგალაშვილი — 130 სმ.

ვაჟთა შორის 170 სანტიმეტრის დაძლევით პირველობა გაინაღდა ა. ოგანეზოვმა (ბორჯომი). ბირთვის კვრაში საუკეთესო იყო ბორჯომელი პ. ფილიეევი — 11 მ 45 სმ.

ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში შედეგით 30 მ 40 სმ პირველი ადგილი დაიკავა ს. მაცუკატოვამ (ბორჯომი).

სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის სათანრიგო ნორმა აჩვენა ხაშურელმა ნ. ტალახაძემ — 4 მ 60 სმ, ხოლო ვაჟთა შორის — ახალციხელმა ი. კალიუჟნიმ—5,95 მ.

ქალთა ესტაფეტაში 4×100 გაიმარჯვეს ხაშურელებმა (მ. ლაცაბიძე, ნ. ტალახაძე, ზ. მახათაძე, ლ. ქიმერიძე) — 56,9 წამი; მეორე ადგილზე გამოვიდნენ ბორჯომელები — 59,0 წამი.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს ბორჯომის მძლეოსნებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ხაშურისა და ახალციხის გუნდები.

ა. გელაშვილი

„ქარიშხალს“

ერთდროს ხრიოკს და ძლიერ
მოლიაულს
ზედ დაჰფენია რტონი დიდრონი,
მთა თავზე მადგას როგორც
ოლიმპო,
ჰქუხს „ქარიშხალას“ მწვანე
მინდორი.

აქ მძლეოსნები ასპარეზობენ,
აქ ბურთის მძლავრი რაინდები,
და ჩვენი გულის ლტოლვა ესოდ
მათ სიყვარულს არ დრიდები.

ზღვის დუღილივით ბობოქრობს
ტაში,
ბუნებამ თითქოს ფრთები გაშალ
მზე ჩამოვა და ჩაჯდება ხალხში
და განათდება ყველა გზა-შარა.

ლაღობს მთის ყველა მწვანე
სართული,
სიომ ფოთლები ბალთან მიშალ,
ლურჯ ხეივნებში გადახლართული,
გაზაფხულივით დგას „ქარიშხალ“

ბ. თავაძე

„ხალხთა დიდი გადასახლება“

ერთი წლის წინათ ევროპის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბს მიეკუთვნებოდა „ბარსელონა“ (ესპანეთი). საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამ გუნდში ესპანელები „ეროვნულ უმცირესობას“ წარმოადგენდნენ. წელს კი ესპანეთის ჩემპიონობის დაკარგვასთან დაკავშირებით გუნდის მეპატრონე მ. სანსი გაჭირვებაში ჩავარდა. იგი ამაოდ ეცადა ხელთ ეგდო საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი ა. ბატე და „რეიმსის“ ცენტრფორვარდი რ. კოპა. მათი უარის შემდეგ „ბარსელონამ“ დაიყოლია ავსტრიის ნაკრების კაპიტანი, ცნობილი მოიერიშე ნახევარმცველი ჰანაპი გადაბარგდეს ესპანეთში. გუნდის ხელმძღვანელობის აზრით, იგი „ბარსელონას“ იერიშებს უწინდელ სიმწვავეს დაუბრუნებს. სამაგიეროდ „ბარსელონა“ გამოეთხოვა კუბალას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მისი იერიშების მესაჭე იყო. ეს კიდევ არაფერი. ესპანეთის ექს-ჩემპიონის ყოფილმა მწვრთნელმა ე. ერერამ, რომელიც დღეს სათავეში უდგას მილანის „ინტერნაციონალეს“, გადაიბირა „ბარსელონას“ უძლიერესი ფორვარდი ლ. სუარესი, ხოლო ამ თავდამსხმელის სანაცვლოდ ესპანელებმა მიიღეს საარაკო თანხა — 2 მილიონი ახალი ფრანკი (200 ათასი დოლარი). სეზონის დასაწყისში ე. ერერა აცხადებდა, რომ „სამი კონტინენტის (აფრიკა-ამერიკა-ევროპა) წარმომადგენელთაგან შემდგარი „ინტერნაციონალეს“ თავდასხმის ცენტრალური სამეული (ფირმანი-ანჯელილო-ლინდსკოგი) ევროპაში უძლიერესი იქნება!“, მაგრამ ეს სიტყვები არ გამართლდა.

არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ შვედები. ისინი სისტემატურად კარგავენ არა მარტო



დატოვებს იტალიას და მის სანაცვლოდ „იუვენტუსი“ ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობს შეიძინოს ჰეინსი, რომლის გუნდი „ფულჰემი“ დიდ ფინანსურ გაჭირვებას განიცდის.

მოთამაშეებს, არამედ მწვრთნელებსაც. შვედი მოთამაშეები წამყვან ძალას წარმოადგენენ ევროპის სხვადასხვა კლუბებში მაშინ, როცა თვით შვეიცარიაში აღარ დარჩა არც ერთი ძლიერი გუნდი. მოვაჭრეთა ცხოველ ინტერესს დიდხანს იწვევდა სამ. ფრანგი „მუშკეტერი“ — ფონტენი-კოპა-პიანტონი. დღეს ფონტენი ხეიბრად იქცა, ხოლო პიანტონი არგენტინაში უნდა გადაბარგდეს. ამასობაში საფრანგეთის ნაკრები ამაოდ ეძებს ახალ „მუშკეტერებს“. ავსტრია ჰანაპის ნაცვლად საეჭვო „შევსებას“ მიიღებს ოცვირკის სახით, რომელიც ოდესღაც მსოფლიოს უძლიერეს ნახევარმცველთა რიგებში ითვლებოდა და თავისი საუკეთესო წლები გენუის „სამპდორიაში“ გაატარა. ოცვირკის გარდა „რაპიდმა“ იუგოსლავიის ფეხბურთელთა კავშირის პროტესტის მიუხედავად „მოიტაცა“ ფორვარდი მილანოვიჩი. ავსტრიაში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ დაბრუნდა აგრეთვე გამოჩენილი ფორვარდი პრობსტიც.

თავისებური დადგენილება მიიღეს იუგოსლავიაში. აქ უცხოეთში წასვლის ნება მისცეს ვეტერანებს. მ. მილუტინოვიჩი, რომელიც სამიოდე წლის წინ იუგოსლავიის ნაკრების სიამაყე იყო, ახლა თამაშობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმნიშვნელო გუნდ „ბაიერნში“ (მიუნჰენი), ხოლო ცნობილი მეკარე ბეარა — ააჰენის „ალემანიაში“.

„ხალხთა დიდი გადასახლება“ ევროპულ ფეხბურთში გრძელდება.

ბ. ბამრეკელი

ასე ვითარდებოდა რეკორდი

მძლეოსნობაში მსოფლიო რეკორდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა რეკორდი რბენაში 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით. იგი 7 წლისაა. მისი „დაბადების“ თარიღად ითვლება ის დღე, როცა მძლეოსნობის საბჭოთა სექციის მოთხოვნით მსოფლიო რეკორდად რეგისტრირებულ იქნა ევროპის ჩემპიონ შ. როჟნეის (უნგრეთი) მაჩვენებელი 8.49,6.

უკვე ერთი წლის შემდეგ ფინელმა პ. კარვონენმა მიაღწია 8.45,4 წუთს. კიდევ ერთი წელი და მსოფლიო რეკორდმა გადაინაცვლა პოლონეთში — ა. ხრომიკმა ფინელის მაჩვენებელს ჩამოაჭრა 5,4 წამი. თუმცა იგი დიდხანს არც ე. ხრომიკს შერჩენია, მოსკოველმა ს. რეიშჩინმა სულ მალე აჩვენა 8.39,8. ამის შემდეგ რეკორდი უნგრეთს დაუბრუნდა. ექს-რეკორდსმენმა შ. როჟნეიმ ს. რეიშჩინის რეკორდი 4,2 წ გააუმჯობესა.

შარშან სამჯერ გადავიდა რეკორდი ხელიდან ხელში. ჯერ რსფსრ-პოლონეთის მატჩში ნ. სოკოლოვმა (სსრ კავშირი) რბენა დაამთავრა 8.32,4 წუთში, რამდენიმე ხნის შემდეგ პოლონელმა ე. ხრომიკმა ეს შედეგი 8.32,0-ზე ჩამოიყვანა და ბოლოს ზ. კშიშკოვიაკმა თანამემამულეს ჩამოართვა რეკორდი და მისი მაჩვენებელი 0,6 წამით გააუმჯობესა — 8.31,4.

ამ დღეებში კიევში გამართული მატჩით დაიწყო ახალი იერიშები რეკორდზე. ტონის მიმცემი აღმოჩნდა გ. ტარანი (უკრაინა), მან ნ. სოკოლოვთან, ს. რეიშჩინთან და სხვებთან ბრძოლაში აჩვენა შედეგი — 8.31,2.

ოლოდინს გადააჭარბეს

ევროპის მორიგი პირველობა საბაიდარო ნიჩბოსნობაში უნდა ჩატარდეს პოლონეთში, პოზნანის ახლოს მდებარე მალტას ტბაზე. როგორც ვარშავის რადიომ გამოაცხადა, შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს გუნდებისა და სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა, ვინაიდან საორგანიზაციო კომიტეტში უკვე შემოსულია განცხადება 17 ქვეყნის 400 სპორტსმენზე. ამ ციფრმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვარაუდობენ, რომ პირველ სტარტამდე დარჩენილ დროში იგი კიდევ გაიზრდება.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გერასიმე ფირცხალავას მისი მამის სამსონ გიორგის-ძე ფირცხალავას გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდა მხატვართა კლუბი



უსიტყვოდ

ნახ. ა. ერაძისა

საკავშირო პირველობა წყალგურთში

ფიზკულტურელის პარკის საზაფხულო აუზი

დასაწყისი **17** საათზე

7 ივნისს

„სპარტაკი“ ლდ. — „ბურევესტნიკი“ მინს.
„ტრუდი“ (რსფსრ) — „ბურევესტნიკი“ მოს.
„ბურევესტნიკი“ (კიევი) — „ბალტიკა“ ლდ.
„დინამო“ (ტალინი) — „დინამო“ თბ.

9 ივნისს

„ბურევესტნიკი“ (კიევი) — „სპარტაკი“ ლდ.
„ბურევესტნიკი“ მინს. — „ტრუდი“ (რსფსრ)
„ბურევესტნიკი“ მოსკ. — „დინამო“ თბ.
„ბალტიკა“ ლდ. — „დინამო“ (ტალინი)

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით, რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, გამომშვების — 8-01-06.

8 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ეუ 01029